## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

## სხდომის ოქმი N5

09 მარტი 2017 წელი

ქ.წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია**

**საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი:** ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვვარაცხელია, კობა შანავა, ბორის კვარაცხელია ,ცოტნე მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილეები გიორგი ლუკავა და თენგიზ ფიფია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , წარმომადგენლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12:45_სთ.

სხდომის თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

### დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თემურ მებონია,** მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: **კორნელ კვარაცხელია–** მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თენგიზ ფიფია,** გამგებლის მოადგილე

**მოისმინეს: 1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N13) .

**მოისმინეს: 2 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N5) .

**მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მოადგილემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N14) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე:** **გონერ კვარაცხელია**